ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი № 35

20 ნოემბერი, 2019 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

16:45 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

ანა ლაშხი

თარაშ შურღაია

გულია გოცირიძე

გიორგი ბირბიჩაძე

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ შესწავლილი იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 15 ნოემბრის №12-0319319121-03 წერილი).

როგორც მან განმარტა, კომისიის მიერ განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებებისთვის პროგრამული კოდით 02.09.01 გათვალისწინებულ თანხაზე (11,175,0 ათასი ლარი) და ღონისძიებების უზრუნველყოფაზე (02.07) გათვალისწინებულ თანხაზე 9,158,1 ათასი ლარი.

კომისიის მიერ საფუძვლიანად იქნა შესწავლილი 02.09.01 პროგრამული კოდის ის ნაწილი, სადაც საუბარია ქუჩების ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟისთვის გამოყოფილ თანხებზე. ხსენებული სამუშაოებისთვის წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია 500 000 ლარი.

კომისიამ შეისწავლა წინა წლებში ერთეული აბრის დამზადება-მონტაჟის სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხები.

როგორც თინათინ ნიბლოშვილმა განმარტა, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურის“ წარმომადგენლებთან ერთად მუდმივ კომუნიკაციაშია როგორც ქუჩების

სისტემური ნუმერაციის, ასევე აბრების განთავსების მიზნით სამუშაოების დაგეგმვის პროცესში.

წარსული გამოცდილების, აბრების განთავსების პროცესის ტექნიკური შესრულების, სამისამართო სამსახურის მიერ გეოგრაფიული ობიექტების სისტემური ნუმერაციების განხორციელების ტემპის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ 500 000 ლარი არის ის გონივრული თანხა, რომელიც შესაძლებელია დაიხარჯოს 2020 წლის განმავლობაში აბრების განთავსების მიმართულებით.

როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, მ/წლის 18 იანვარს, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ #03-031901891 წერილით მიმართა თბილისის მერს რეკომენდაციით, საკრებულოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზში, კვარცხლბეკზე, რომელზეც ოდესღაც აღმართული იყო რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II ის ბიუსტი, დიმიტრი ყიფიანის ქანდაკების გათავსებასთან დაკავშირებით. ხსენებული საკითხი განიხილა მერიაში არსებულმა შესაბამისმა კომისიამ და დადებითი რეკომენდაცია გასცა კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით.

2019 წლის 29 იანვარს კომისიამ თბილისის მერს მიმართა თხოვნით (წერილი #03-031902986) პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სახელობის სანაპიროსთან მოწყობილიყო სანაპიროს აღმნიშვნელი მემორიალური ობელისკი.

როგორც ცნობილია, 2020 წლის თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში ძეგლების მშენებლობის ღონისძიებების განსახორციელებლად (პროგრამული კოდი 02.07) გათვალისწინებულია 500 000 ლარი. წარმოდგენილი პროექტის შესაბამის პროგრამულ კოდში არსებული ჩანაწერები არ იძლევა იდენტიფიცირების საშუალებას ხსენებულ 500 000 ლარში გათვალისწინებულია თუ არა პრეზიდენტ გამსახურდიას მემორიალური ობელისკის და დიმიტრი ყიფიანის ბიუსტის ესკიზის შესარჩევი კონკურსის ჩატარება და ობიექტების მოწყობა.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მერიის შესაბამისი სამსახურის მხრიდან საჭიროდ მიიჩნევს დაზუსტების და განმარტებების გაკეთებას

2020 წლის ბიუჯეტის ფარგლებში იგეგმება თუ არა ზვიად გამსახურდიას მემორიალური ობიექტის და დიმიტრი ყიფიანის ბიუსტის განთავსება.

გადაწყვიტეს: ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი უკან დაუბრუნდეს ქალაქ თბილისის მერს შესაბამისი მოტივირებული შენიშვნების გათვალისწინების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

სხდომა

20 ნოემბერი , 2019 წელი

N	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	თინათინ ნიბლოშვილი	
2.	მარიკა დარჩია	
3.	გიორგი ბირბიჩაძე	
4.	ანა ლაშხი	
5.	გულია გოცირიძე	
6.	თარაშ შურღაია	

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი